ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №185

2017 წლის 25 იანვარი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივლისის №97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივლისის №97 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 20/07/2015წ.; 010250020.35.160.016308) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში და დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ჭირისუფლის მიერ სასაფლაოების მმართველი ორგანიზაციისთვის მიმართვის შემდეგ გაიცემა საფლავი შემდეგი საფასურის გადახდის შემთხვევაში:

ა) ერთადგილიანი – 50 ლარი;

ბ) ორადგილიანი – 100 ლარი;

გ) სამადგილიანი – 150 ლარი;

დ) ოთხადგილიანი – 200 ლარი.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მაღლაკელიძე**